



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს
უწყებები



№ 30 (153)

30 ოქტომბერი

1961 წელი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება გიგმელი

- 449. შეთანხმება პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის.
- 450. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
- 451. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.
- 452. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 453. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. ლ. ჩუმაკის მედლით „მამაკობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 454. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. ე. ნესტერენკოს დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პაკისტანში.
- 455. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. ს. კაპიცას ვათაიესუფლების შესახებ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პაკისტანში.
- 456. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თ. პ. დოლიას სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ ნიგერის ფედერაციულ რესპუბლიკაში.



457. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წეს-
რიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრების ს. ა. ლუდინისა და მინსკის
ბუტორინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
458. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რიგითი ვ. ა. გოლვაჩის
წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
459. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. ფოტიევის
შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
460. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო საჰაერო
ფლოტის პილოტის ე. მ. ბახშინიანის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნე-
ბის სიგელები გადასცა ეთიოპიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. იმრუმ.
აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ზ ა

449 პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის უსახეზ საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და თურქმ-
ეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ, ერთი
მხრივ, და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ, მეორე მხრივ, სურთ რა ახ-
ლანდელი დროის მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისობაში მოიყვანონ
საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1922 წლის 9 ივლისის სარკინიგზო კონვენციის
დებულებანი და ხელი შეუწყონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმო-
სვლის განვითარებას, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით თა-
ვიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — ნი-
კოლოზ უშაკოვი, გზათა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე,
თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ — ვახიტ ხალეფოღლუ, საგარეო
საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის გენერალური დირექტორი,
რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორმა-
ში და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და თურქეთის რეს-
პუბლიკას შორის მყარდება პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა მგზავრების
გადასაყვანად და ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟისა და ტვირთის გადასაზიდად.

მუხლი 2

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტრო
და, თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტრო ადგენენ იმ სადგუ-
რების ნუსხას, რომლებიც უნდა გაიხსნას შეთანხმების დამდები თითოეული
მხარის ტერიტორიაზე რკინიგზებით მგზავრების პირდაპირი გადაყვანისათვის
და ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟისა და ტვირთის პირდაპირი გადაზიდვისათვის.

მუხლი 3

1. საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის სად-
გურთა შორის მგზავრობისათვის მგზავრებს მიეყიდებათ კომბინირებული ბი-

ლეთი, რომელიც ძალაშია გამგზავრების სადგურიდან სახელმწიფო საზღვრამდე და სახელმწიფო საზღვრიდან დანიშნულების სადგურამდე.



2. მგზავრების გადასაყვანად და ბაგაჟისა და საქონელ-ბაგაჟის გადასაზიდად გადასახდელის გამოანგარიშება წარმოებს შეთანხმების დამდებ მხარეთა შინაგანი ტარიფებით და გადახდილ იქნება გამგზავნელი ქვეყნის ვალუტით მთელი მანძილის მიხედვით გაგზავნის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე.

3. საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით სადგურებს შორის ბაგაჟისა და საქონელ-ბაგაჟის გადაზიდვა ფორმდება ერთიანი გადასახიდი დოკუმენტებით, რომლებიც გაიცემა გადაზიდვის მთელ მანძილზე გაგზავნის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე.

4. მგზავრების გადასაყვანად და ბაგაჟისა და საქონელ-ბაგაჟის გადასაზიდად საჭირო სამგზავრო და საბაგაჟო ვაგონები და მათი მოსამსახურე პერსონალი შეთანხმების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ იმ შეთანხმებების დებულებათა შესაბამისად, რომლებიც დაიდება ამ შეთანხმების 6 მუხლის თანახმად.

მუხლი 4

1. ტვირთის გადაზიდვის გაფორმება წარმოებს საბჭოთა-კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის ერთიანი ზედნადებით.

2. საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის გადასახდელი გამოანგარიშება შეთანხმების დამდები თითოეული მხარის რკინიგზის შინაგანი წესებისა და ტარიფების მიხედვით. გადაზიდვის გადასახდელი გაგზავნის სადგურიდან სახელმწიფო საზღვრამდე გადახდება ტვირთის გამგზავნის გაგზავნის სადგურზე, ხოლო გადაზიდვის გადასახდელი სახელმწიფო საზღვრიდან დანიშნულების სადგურამდე გადახდება ტვირთის მიმღებს დანიშნულების სადგურზე.

მუხლი 5

შეთანხმების დამდები ორივე მხარის რკინიგზებს შორის ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟის, ტვირთისა და ვაგონების მიღება-ჩაბარება წარმოებს შეთანხმების დამდები თითოეული მხარის სასაზღვრო სადგურებზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო სარკინიგზო შეთანხმებით ვათვალისწინებულ დებულებათა თანახმად, რომელიც იდება ამ შეთანხმების 6 მუხლის საფუძველზე.

ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რკინიგზის სასაზღვრო სადგურის შექმნამდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რკინიგზების სასაზღვრო სადგური ახურიანი გამოყენებულ იქნება ამ მუხლის პირველ აბზაცში ნახსენებ მიღება-ჩაბარების ოპერაციების შესასრულებლად.

თურქეთის ტერიტორიაზე რკინიგზის სასაზღვრო სადგურის შექმნის შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტრო

და თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტრო შეთანხმდებოდა საჭირო ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ იმ შეთანხმებებზე, რომლებიც იღება ამ შეთანხმების 6 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 6

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტრო და თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტრო ამ შეთანხმების შესაბამისად დებენ ორ საუწყებო შეთანხმებას:

- 1) საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო სარკინიგზო შეთანხმება და
- 2) საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით მგზავრების გადაყვანისა და ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟისა და ტვირთის გადაზიდვის წესები.

მუხლი 7

ამ შეთანხმების განხორციელებიდან, აგრეთვე წინა მუხლში ნახსენებ შეთანხმებებიდან გამომდინარე ანგარიშსწორება წარმოებს იმ წესის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით მგზავრების გადაყვანისა და ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟისა და ტვირთის გადაზიდვის წესებით.

მუხლი 8

მგზავრების გადაყვანისა და მოსამსახურე პერსონალის მიმართ, აგრეთვე ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟის, ტვირთის გადაზიდვისა და მოძრავი შედგენილობის მიმართ, გამოიყენება საბაჟო, სანიტარული წესები, რომლებიც მოქმედებენ შეთანხმების დამდები თითოეული მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 9

მოძრავი შედგენილობა და მოწყობილობა, მასალები და სათადარიგო ნაწილები, რაც საჭიროა გზაში, აგრეთვე ყოველგვარი მასალები და სათადარიგო ნაწილები, რომლებსაც შეთანხმების დამდები მეორე მხარის რკინიგზებზე თავისი მოძრავი შედგენილობის შესაკეთებლად აგზავნის ერთ-ერთი მხარე, გადაიზიდება მეორე მხარის ტერიტორიაზე დროებითი შემოზიდვის რეჟიმის შესაბამისად უფასოდ და ბაჟისა და ყოველგვარი გამოსაღებების გადაუხდელად.

მუხლი 10

გადაზიდვის ხელშეკრულებაზე პასუხისმგებლობის დაწესება, შეთანხმების დამდები ორივე მხარის რკინიგზების ადმინისტრაციათა შორის, აგრეთვე აღნიშნულ ადმინისტრაციათა და მესამე პირთა შორის პრეტენზიების გადაწყვეტის წესი იმ გადაზიდვაზე, რომელიც ხორციელდება ამ შეთანხმების ფარ-

გლებში, მოწესრიგდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით მგზავრების გადაყვანის, ბაგაეის, საქონელ-ბაგაეისა და გადაზიდვის წესების მიხედვით.

მუხლი 11

პასუხისმგებლობა ზარალზე, რაც წარმოიშევა მოძრავი შედგენილობის, სადგურებზე და გადასარბენებზე ლიანდაგისა და რკინიგზის ნაგებობათა არაწესიერ მდგომარეობაში ყოფნის შედეგად, წესდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო სარკინიგზო შეთანხმებით.

მუხლი 12

შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის რკინიგზის პერსონალი მეორე მხარის ტერიტორიაზე თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მკაცრად უნდა იცავდეს იმ ქვეყნის კანონებს, აგრეთვე იმ ქვეყნის რკინიგზის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ წესებს, სადაც ის იმყოფება, და ასრულებდეს უკანასკნელის სამსახურებრივ განკარგულებებს. დისციპლინის მხრივ აღნიშნული პერსონალი პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ქვეყნის ადმინისტრაციის წინაშე.

შეთანხმების დამდები თითოეული მხარის რკინიგზის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია თავისი პერსონალის სამსახურებრივ საქმიანობაზე და დაუდევრობაზე.

მუხლი 13

1. შეთანხმების დამდები მხარეების რკინიგზის ადმინისტრაციათა შორის კორესპონდენციის გაცვლა ხორციელდება თითოეული ქვეყნის აღნიშნული ადმინისტრაციის სახელით იმ პირთა ხელის მოწერით, რომლებიც ამისათვის რწმუნებით არიან აღჭურვილნი თითოეული მხარის შინაგანი წესების შესაბამისად.

2. მიმოწერა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტროს შორის, აგრეთვე შეთანხმების დამდებ მხარეთა რკინიგზების სამმართველოთა შორის წარმოებს თითოეული მხარის მიერ თავის ენაზე ფრანგულ ენაზე ოფიციალური თარგმანის სავალდებულო დართვით.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რკინიგზის სადგურებსა და თურქეთის რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებს შორის კორესპონდენცია იგზავნება შეთანხმების დამდები თითოეული მხარის სასაზღვრო სადგურების მისამართით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კორესპონდენციის შემდგომი გადაგზავნა დანიშნულების პუნქტში.

4. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის რკინიგზათა ადმინისტრაციებს შორის სამსახურებრივი მიმოწერა გადაიგზავნება ფოსტით.

მუხლი 14



1. ამ შეთანხმების 6 მუხლში ნახსენები შეთანხმებების შესრულებას გამოძინარე პრაქტიკული საკითხების მოსაწესრიგებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტროს ან თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტროს თხოვნით საჭირო შემთხვევებში მოიწვევა შერეული კომისია. შერეული კომისიის მოწვევისა და მუშაობის წესი დადგინდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო სარკინიგზო შეთანხმებით.

2. ამ შეთანხმების 6 მუხლში ნახსენებ შეთანხმებებში საჭირო ცვლილებათა და დამატებათა შეტანასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე იმ პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც არ იყო გადაჭრილი შერეულ კომისიაში, რომლის შექმნაც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1 პუნქტით, ერთ-ერთი ზემოდასახელებული სამინისტროს თხოვნით მოიწვევა ამ სამინისტროების რწმუნებით აღჭურვილ წარმომადგენელთა თათბირი. აღნიშნული თათბირების მოწვევისა და მუშაობის წესი დადგინდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლით მგზავრების გადაყვანის, ბაგაჟის, საქონელ-ბაგაჟისა და ტვირთის გადაზიდვის წესებით.

3. იმ შემთხვევებში, თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გზათა სამინისტრო და თურქეთის რესპუბლიკის კომუნიკაციათა სამინისტრო ურთიერთშორის ვერ შეთანხმდებიან, უთანხმოება გადაწყდება დიპლომატიური გზით.

მუხლი 15

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, რაც მოხდება მოსკოვში.

მუხლი 16

ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან თავის მოქმედებას შეწყვეტენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1922 წლის 9 ივლისის სარკინიგზო კონვენციისა და 1936 წლის 20 ოქტომბრისა და 1939 წლის 5 ივნისის შეთანხმებათა დადგენილებანი.

მუხლი 17

შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია ამ შეთანხმების დენონსირება ამის შესახებ დიპლომატიური გზით წერილობითი შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 18

ეს შეთანხმება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ, თურქულ და ფრანგულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ რუ-

სული და თურქული ტექსტების გაგებაში წარმოიშვა უთანხმოება, ითვლება ტექსტი ფრანგულ ენაზე.



დადებულია ანკარაში 1961 წლის 27 აპრილს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მთავრობის რწმუნებით
ნ. უზაკოვი.

თურქეთის რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ბ. ხალეფოღლუ.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 1 სექტემბერს; თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის მიერ — 1961 წლის 29 ივლისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1961 წლის 11 ოქტომბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

450 ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თანახმად საბჭოთა კავშირ-სომხალის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომხალის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1961 წლის 2 ივნისს, რატიფიცირებულ აქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 ოქტომბერი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

451 საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღვიღებუნი რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების უმსუხუშავის არგამოქმედების შესახებ

საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ნება მიეცეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიანიჭოს სასამართლოებს უფლება საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით 1961 წლის 1 მარტიდან არ გამოიყენონ სასჯელის ზო-

მების შემსუბუქება იმ პირობა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგინეს მოსწორების გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირობა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტამდე, ე. ი. საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.

დადგინდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

452 აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის აღვიღებუნი რეჟიმის ზორობ დაარღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: ნება მიეცეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიანიჭოს სასამართლოებს უფლება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის 1960 წლის 8 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით 1961 წლის 1 მარტიდან არ გამოიყენონ სასჯელის ზომების შემსუბუქება იმ პირობა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგინეს მოსწორების გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირობა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტამდე, ე. ი. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

453 ბ. ლ. ჩუმაკის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების
შესახებ

ბავშვის გადარჩენის დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის
ბორის ლუკიანეს ძე ჩუმაკი დაჯილდოებულ იქნას მედლით „მამაცობისათვის“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

454 ა. ე. ნესტერენკოს დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის საგანგებო-
ბო და სრულუფლებიან ელჩად პაკისტანში

დაინიშნოს ალექსი ეფრემის ძე ნესტერენკო სსრ კავშირის საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩად პაკისტანში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

455 მ. ს. კაკიცას გათავისუფლების შესახებ სსრ კავშირის საგან-
გებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პაკისტანში
ტანში

გათავისუფლდეს მიხეილ სტეფანეს ძე კაკიცა სსრ კავშირის საგანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან პაკისტანში სხვა სამუშაოზე
გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 ოქტომბერი.



456 თ. პ. დოლიას სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიანი ელჩად დანიშვნის შესახებ ნიგერიის ფედერაციაში

დანიშნოს თვედორე პავლეს ძე დოლია სსრ კავშირის საბანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ნიგერიის ფედერაციაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

457 სასოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალ-სო რაზმის წევრების ს. ა. დუდინისა და ნ. ფ. ბუტორინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოგადოებრივი მოვალებების შესრულების დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრები სერგი ალექსის ძე დუდინი და ნიკოლოზ ფედოსის ძე ბუტორინი დაჯილდოებულ იქნან წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

458 რიგითი ვ. ა. გოლოვაჩის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ოფიცრის სიცოცხლის გადარჩენის დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის რიგითი ვლადიმერ ანტონის ძე გოლოვაჩი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 ოქტომბერი.

459 ამხ. ლ. ა. ფოტიევას შრომის წითელი დროშის ორდენით და
ჯილდოების შესახებ

დაბადების ოთხმოცი წლისთვის გამო და ლენინიზმის დიადი იდეების პროპაგანდაში აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის გათვალისწინებით ამხ. ლილია ალექსანდრეს ასული **ფოტიევა** დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 ოქტომბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

460 სამოქალაქო საპაირო ფლოტის კილოტის ე. მ. ბახუნიანის
წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ედიკ მისაკის ძე **ბახუნიანი** დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 ოქტომბერი.

ბანუოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ლ. ი. ბრეჟნევს** რწმუნების სიგელეზი გადასცა ეთიოპიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **მ. იმრუმ**

ა/წ 16 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ლ. ი. ბრეჟნევმა** კრემლში მიიღო ეთიოპიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მიქაელ იმრუმ, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

მ. იმრუმ და **ლ. ი. ბრეჟნევმა** სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ **ლ. ი. ბრეჟნევი** ესაუბრა მ. იმრუმს. საუბარს ეწვრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. პ. გიორგაძე** და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ი. ა. მალიკი**.

რ ს ფ ს რ

მუშათა დაბა რიბნოეს რაიონული დაქვემდებარების
ქალაქად გარდაქმნა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის
13 ოქტომბრის ბრძანებულებით რიაზანის ოლქის რიბნოეს რაიონის მუშათა
დაბა რიბნოე გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.



**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს უწყებები**

№ 30 (153) 30 ოქტომბერი 1961 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8, მთავრობის საბჭო.
ფასი 10 კპბ.

**ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ**

№ 30 (153) 30 октября 1961 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: г. Тбилиси, просп. Руставели 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.